ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაზე წინასწარ უარის თქმის კანონით დაშვების შეფასება

ზეზვა ჯალაბაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია სულხანიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ზეზვა ჯალაბაძე

01.07.2020

აბსტრაქტი

კერძო სამართლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს, სამოქალაქო ბრუნვაში ჩართულ სუბიექტთა შორის, მატერიალური თუ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების მართლზომიერი ბრუნვის დაცვა. ქონებრივი სიკეთეების ბრუნვას ხშირად თან ახლავს ხელშეკრულებაში მყოფი ერთ ერთი კონტრაგენტის მხრიდან, სხვადასხვა მიზეზით, საკუთარი წილი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, ეს ყოველივე ზიანს აყენებს მეორე მხარეს. აქედან გამომდინარე, კერძო სამართლის მიზანს წარმოადგენს, დაარეგულიროს მსგავსი შემთხვევები და აღადგინოს ბალანსი მხარეთა შორის. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, იმას თუ რამდენად ამომწურავია სამართლის ნორმები და რამდენად არ ტოვებენ ისინი ისეთ ჭრილებს მოწესრიგებაში, რომ არაკეთილსინდისიერმა მხარემ სხვადასხვა მანიპულაციური გზებით, უარყოფით კონტექსტში, არ გამოიყენოს საკუთარი მიზნებისათვის.

საკითხი შესაძლოა, უფრო გაამწვავოს იმ მოცემულობამ, რომ სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს შესაძლებლობას: მხარეები წინასწარ შეთანხმდნენ, ერთ ერთი მხარის მიერ ვალდებულების დარღვევისას დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის გამორიცხვაზე (სსკ-ს 410-ე მუხლი). ანუ, მიუხედავად იმისა, რომ მეორე მხარის ბრალეული ქმედების შედეგად პირს მიადგება ზიანი, მას არ შეეძლება მოითხოვოს მისი ანაზღაურება, რადგან წინასწარ თქვა უარი მოთხოვნის უფლებაზე. მოცემული ნორმა , წარმოადგენს საკმაოდ ზოგად და დაუკონკრეტებელ რეგულირებას, რაც არაკეთილსინდისიერ მხარეს პერსპექტივაში მისცემს, ფართო მანიპულაციის შესაძლებლობას, ბოროტად ისარგებლოს კანონის ნორმით. ნაშრომი, ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას - იწვევს თუ არა, ასეთი შეთანხმება საჯარო წესრიგის დარღვევას?! . კვლევის მსვლელობისას, განმარტებული იქნება: თემასთან შეხებაში არსებული, პრინციპები და საკანონმდებლო მოწესრიგებები; საჯარო წესრიგისა და ნების ავტონომიის პრინციპები და მათი შედარება, საკვლევი საკითხის ფარგლებში და სხვ. ნაშრომი მოიცავს, ქართული, უცხოური და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შეფასებას, აგრეთვე უცხოელი და ქართველი ავტორების

შეხედულებების ანალიზს. კვლევა წარიმართება: პრობლემური საკითხის მომწესრიგებელი ძველი და ახალი კანონების შედარებითი ანალიზით, სამეცნიერო ავტორთა შეხედულებების შეპირისპირებით და სასამართლოს პრაქტიკის ანალიზით.

410-ე მუხლი, ერთდროულად იცავს და მისი ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, არღვევს სამოქალაქო სამართლის პრინციპებს. პრინციპების დარღვევა, ჯაჭვური რეაქციით იწვევს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტთა უფლების დარღვევას. კვლევის მსვლელობისას ერთმანეთის პარალელურად, ფასდება დაცული და დარღვეული უფლებების წონადობა და ამის საფუძველზე დგება შედეგი. კვლევა აჩვენებს, რომ დარღვეული უფლებები, ისეთი მოცულობის შეიძლება იყოს, რომ თავისუფლად შეიძლება დაუკავშირდეს საჯარო წესრიგის დარღვევას. საჯარო წესრიგის დარღვევის მიუღებლობა, განაპირობებს სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ნების ავტონომიის პრინციპების შეზღუდვის აუცილებლობას. პრობლემის გადაჭრის გზად, ნაშრომში სახელდება საკანონმდებლო ცვლილება, რაც შეიძლება გამოიხატოს: 1) ნორმის ძველი რედაქციის დაბრუნებაში ან 2)ახალ რედაქციაში, იმ აუცილებელი პირობების გაწერაში, რომელნიც დაავიწროვებენ ნორმის მოქმედების არეალს და არაკეთილსინდისიერ მხარეს მინიმუმამდე შეეზღუდება მანიპულირების შესაძლებლობა. საკანონმდებლო ცვლილებები, დაიცავენ სამოქალაქო სუბიექტებს მოტყუებისა და არაექვივალენტური მდგომარეობისაგან, რა ვითარებაშიც შეიძლება მარტივად აღმოჩნდეს სუსტი და გაუცნობიერებელი მხარე. აღნიშნული ცვლილება, კიდევ უფრო გაამყარებს კერძო საკუთრების დაცვისა და უსაფრთხოების პრინციპებს. ამავდროულად, არაკეთილსინდისიერ სუბიექტთა შებოჭვა, ხელს შეუწყობს მთლიანად სამოქალაქო სტაბილურობის განმტკიცებას.

Abstract

The main purpose of private law is to protect the legal circulation of tangible or intangible property goods among the subjects involved in civil turnover. The turnover of property goods is often accompanied by one of the contractors in the contract, for various reasons, the non-fulfillment or improper fulfillment of its share of the obligation, all this causes damage to the other party. Therefore, the purpose of private law is to regulate similar cases and restore balance between the parties. At the same time, it should be noted that it is of great practical importance how exhaustive the norms of law are and how much they do not leave such gaps in order to prevent the unscrupulous party from using various manipulative methods in a negative context.

The issue may be exacerbated by the fact that the Civil Code provides for the possibility: the parties have agreed in advance to exclude a claim for damages for breach of an obligation by one of the parties (Article 410 of the Criminal Code). That is, even if the fault of the other party results in harm to the person, he or she will not be able to claim his or her compensation because he or she has previously denied the right to claim. This norm is a fairly general and unspecified regulation, which will give the unscrupulous side the opportunity to exploit the possibility of abusing the rule of law. The paper tries to answer the question - does such an agreement violate public order?!. In the course of the research, the following will be explained: principles and legislative regulations related to the topic; Principles of public order and autonomy of will and their comparison, within the framework of the research issue, etc. The paper includes an assessment of Georgian, foreign and international legal acts, as well as an analysis of the views of foreign and Georgian authors. The research will be conducted by: comparative analysis of old and new laws regulating the problematic issue, contradiction of the views of scientific authors and analysis of court practice

Article 410 simultaneously protects and violates the principles of civil law due to its general nature. Violation of the principles, in a chain reaction, leads to a violation of the right of the subjects of civil relations. In parallel with the research, the balance of protected and violated rights is assessed and the result is obtained. Research shows that violated rights can be so

extensive that they can be freely linked to public order violations. The inadmissibility of a breach of public order necessitates the restriction of the principles of contractual freedom and the autonomy of the will. In order to solve the problem, the paper mentions a legislative change that could be: 1) the return of the old version of the norm or 2) the new version, the writing of the necessary conditions that will narrow the scope of the norm and minimize the possibility of manipulation on the unscrupulous side. Legislative changes will protect civilian subjects from deception and illiteracy, in which case the weak and the ignorant can easily find themselves. This change will further strengthen the principles of privacy and security. At the same time, the closure of unscrupulous entities will help to completely strengthen civil stability.

მადლობა

მსურს მადლობა გადავუხადო, ჩემი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ **მაია სულხანიშვილს** გაწეული დახმარებისათვის. ნაშრომზე მუშაობის პროცესში, მისმა რეკომენდაციებმა და უკუკავშირებმა, დიდი წვლილი შეიტანა კვლევის უკეთესად წარმართვაში.